



ქალაქ მარტვილის თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის
დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია

(მარტვილის მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე
ზემოქმედების მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების
მეორე პროექტი (RMIDP II)

გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი

ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება ქალაქ მარტვილში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მარტვილში თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, მთლიანი სიგრძით 3 360 მეტრი.

ქვე-პროექტი მოიცავს :

- გზის საფარის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის ფენით;
- ბეტონის ღარების მოწყობა (1 219 მ);
- შიდა ეზოების შესასვლელში მილების ინსტალაციას
- საყრდენი კედლის მოწყობა გზის pk 5+14 (12მ) მონაკვეთის გასწვრივ

(A) ზემოქმედების დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი გავლენა იქნება პოზიტიური.</p> <p>ძირითად ზემოქმედებას ადგილი ექნება მშენებლობის ფაზაში, რომელიც მოიცავს გზის საფარის დაგებას, მძიმე ტექნიკის მოძრაობას და ექსპლუატაციას, მასალების მიწოდებას.</p> <p>გზა, რომლის რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი ქვე-პროექტის ფარგლებში, გადის დასახლებულ ადგილებზე, მოდიფიცირებულ გარემოში. ამიტომ ქვე-პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზეგავლენა (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის დროებითი შეფერხება) არის დროებითი და უმნიშვნელო.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს აქვს დადებითი გრძელვადიანი ზეგავლენა, აუმჯობესებს რა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ და ტრანსპორტირების პირობებს. ქვე-პროექტის განხორციელების შედეგად შემცირდება ზემოქმედების არსებული უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და ხმაური.</p> <p>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და დამახასიათებელი ურბანულ გარემოში მცირე/საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად, სამშენებლო ნარჩენების</p>

	<p>წარმოქმნა, მოძრაობის დროებითი შეფერხება.</p> <p>გზის დატბორვის რისკის შემცირების მიზნით ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სანიაღვრე წყლების მიმღები კიუვეტებისა და მილების გაწმენდა, ასევე ბეტონისა და გრუნტის კიუვეტების მოწყობას გზის გასწვრივ.</p> <p>შიდა ეზოებთან არსებული აზბესტის მილების (52მ) დემონტაჟის შედეგად წარმოიქმნება აზბესტის შემცველი ნარჩენები.</p> <p>კერძო საკუთრებებს შორის (საცხოვრებელი სახლების ეზოები) არსებული ტერიტორიის სივიწროვის გამო (დაახლოებით 5 მ) ვერ ხერხდება ტროტუარის მოწყობა იძულებითი განსახლების გარეშე, რაც არ არის მიზანშეწონილი არც ფინანსური და არც სოციალური თვალსაზრისით. ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდება გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები.</p> <p>ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით გზის რამოდენიმე მონაკვეთზე მოხდება ხეების გასხვლა და ბუჩქების მოჭრა.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას.</p> <p>კერძო ეზოების გასწვრივ არსებული მავთულის ღობე (12 მ) მოიხსნება და დამონტაჟება ახალი რაც გამოწვეულია PK 5+14 გზის მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობით. არსებული ღობის ახლით შეცვლა წერილობით არის შეთანხმებული მესაკუთრესთან.</p> <p>გრძელვადიან პერსპექტივაში ქვე-პროექტის სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი - გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, ასევე ტრანსპორტის მოძრაობისა და მგზავრობის პირობები.</p> <p>უარყოფითი ზეგავლენა არის მოკლევადიანი და შეზღუდული მხოლოდ სამუშაოების განხორციელების ადგილით. უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ ფაქტორებთან.</p>

(B) შემამასუბუქებელი ზომები

<p>განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?</p>	<p>ალტერნატიული ვარიანტები არ იქნა განხილული, ვინაიდან ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენას.</p>
<p>რა სახის შემამსუბუქებელი ზომებია შეთავაზებული?</p>	<p>გზის რეაბილიტაციის ფაზაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), მოსახლეობის შეწუხება (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვის გზით, მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.</p> <p>მოხდება ასბესტის მიღების დამონტაჟი, ხოლო მათი გატანა იწარმოებს გარემოს მართვის გეგმაში აღწერილი პროცედურებისა და ნაგავსაყრელის ოპერატორ ორგანიზაციასთან დადებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. მგფ-ის მიერ მკაცრად გაკონტროლდება დემონტაჟის სამუშაოები და ასბესტის მოხსნის მიღების სათანადო გატანა.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციის საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის დიზაინი მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების საფარის რეაბილიტაციას, არამედ, ასევე, სანიაღვრე არხების გაწმენდას და ახალი კიუვეტების მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>ქვე-პროექტი შემუშავებულია მუნიციპალიტეტის მიერ ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან კონსულტაციით და როგორც საპასუხო ქმედება არსებულ სიტუაციაზე.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ და არ აქვთ პრეტენზია დაკავშირებულ</p>

	<p>შემაწუხებელ ფაქტორებთან.</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა ჩაატარა 2015 წლის 28 ივლისს, რომელზეც განხილული იქნა ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.</p>
--	---

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

	ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის	დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად) ?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?	✓	
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა			

ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.

მოხდება კერძო ეზოს გასწვრივ არსებული მავთულის ღობის (12 მ)დემონტაჟი და ახლის დამონტაჟება რაც გამოწვეულია PK 5+14 გზის მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობით. არსებული ღობის ახლით ჩანაცვლება წერილობით არის შეთანხმებული მესაკუთრესთან.

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები			
ქვეყანა	საქართველო		
პროექტის დასახელება	რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების მეორე პროექტი		
ქვე-პროექტის დასახელება	ქალაქ მარტვილის თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მარტვილის მუნიციპალიტეტი)		
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ მარტვილის თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის (სიგრძე 3360 მეტრი) რეაბილიტაცია.</p> <p>ქვე-პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - გზის საფარის რეაბილიტაცია ასფალტო ბეტონის ფენით; - ბეტონის ღარების მოწყობა (1 219 მ); - შიდა ეზოების შესასვლელში მილების ინსტალაცია; - საყრდენი კედლის მოწყობა გზის pk 5+14 (12მ) მონაკვეთის გასწვრივ. 		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: სიაოლან ვანგი	უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაციო კომპანია ეპტისა (ესპანეთი)	სამუშაოთა კონტრაქტორი: ერთობლივი საწარმო: შპს „მარტვილავტოგზა“ და შპს „ჯ და ჯ“
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	მარტვილის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	<p>მარტვილი, 3100, თავისუფლების ქუჩა 10 ტელ: (418) 220060; 577 95 91 93 ელ- ფოსტა: martvilisgameoba@gmail.com</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მანძილი თბილისიდან არის 300 კმ.</p>		
ვინ არის მიწის ნაკვეთის	მუნიციპალური საკუთრება		

<p>მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</p>	
<p>ფიზიკური და ბუნებრივი გარემო</p>	<p>ქალაქი მარტვილი წამოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც მდებარეობს მდინარე ახალიწყლის ნაპირზე. 2002 წლის აღწერის თანახმად ქალიქის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 20, 1 მოსახლეს.</p> <p>გზა, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია პროექტის ფარგლებში გაყვანილი იქნა ათწლეულების წინ. დღეის მდგომარეობით არის ძლიერ დაზიანებული, რაც ხელს უშლის ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას, ამცირებს გამტარუნარიანობას და ზრდის ემისიებს.</p> <p>გზის სივიწროვისა (საშუალოდ დაახლოებით 5 მეტრი) და კერძო კუთვნილებაში არსებულ საცხოვრებელ სახლებს შორის მისი მდებარეობის გამო ვერ ხერხდება ტროტუარის მოწყობა იძულებითი განსახლების გარეშე, რაც არ არის მიზანშეწონილი არც ფინანსური და არც სოციალური თვალსაზრისით. ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდება გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები.</p> <p>სანიაღვრე წყლების განტვირთვა მოხდება ნაკადულებსა და მცირე ზომის მდინარეებში, რომლებსაც კვეთავს გზა.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>წყლის მიწოდება მოხდება მუნიციპალური წყალსადენიდან.</p> <p>უახლოესი კარიერი მდებარეობს 7 კმ-ში.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მიღებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს</p>

გარემოსდაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:

- (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;
- (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);
- (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);
- (iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული სამშენებლო ნარჩენები (მოჭრილი მიწა, სედიმენტები) განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მარტვილის მუნიციპალიტეტთან;
- (v) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კონტრაქტორსა და ოპერატორ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების საფუძველზე.
- (vi) მოჭრილი ხის ტოტების და ბუჩქების გატანა წერილობით უნდა დამტკიცდეს ადგილობრივი (მუნიციპალური) მთავრობის მიერ.
- (vii) დემონტირებული ასბესტის მიღების გატანა უნდა მოხდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება #416, 31.12.14) და ოპერატორ კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის (არსებობის შემთხვევაში), ასფალტო ბეტონის ქარხნის ოპერირების (არსებობის შემთხვევაში) და ნარჩენების გატანის ნებართვები თანდართული უნდა იყოს ამ გარემოსდაცვის მართვის გეგმაზე, მას შემდეგ რაც მოხდება კონტრაქტორის შერჩევა და სამშენებლო ადგილზე მობილიზება.

დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.

საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა განხილული იქნა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით 2015 წლის 28 ივლისს. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.
დანართები	
დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა	
დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი	
დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე (იქნება მოწოდებული)	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი დონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შეძენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შეძენილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურლით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სატვირთო მანქანების ტვირთი უნდა იყოს დამაგრებული და გადაფარებული .
	<p>ხმაური</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოდრონ მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; (e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;

		გამოყენებული უნდა იქნეს მათგანი.
	წყლის ხარისხი	<p>(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს და გადახუროს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სათანადო ეროზიისა და სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში.</p> <p>(b) კონტრაქტორმა უნდა დაგეგმოს ყველა ექსკავაცია, ნიადაგის ზედა ფენისა და ქვედა ფენის შენახვა იმგვარად რომ მინიმუმამდე შემცირდეს რაიმე სახის ჩამონადენი.</p> <p>(c) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(e) არ უნდა მოხდეს სველი ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს განთავსების ადგილები;</p> <p>(b) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, და უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება კონტრაქტორის მიერ (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ოფიციალური დასტური ან ვადიანი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p>

		e) უნდა განთავსდეს სიჩქარი მარეგულერებელი, შემოვლითი გზის და გამაფრთხილებელი ნიშნები
	ხეების დაცვა გზის გასწვრივ	a) ხეები გზის გასწვრივ არ უნდა მოიჭრას და არ უნდა იქნეს დაზიანებული. b) მოჭრილი ტოტებისა და მცენარეების გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივი (მუნიციპალური) მთავრობასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
E ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა; b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად; c) გატანამდე აზბესტი უნდა დამუშავდეს დამასველებელი ხსნარით რათა შემცირდეს აზბესტის მტვერი; d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით; e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად; f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული; g) აზბესტი საბოლოოდ განთავსდება უახლოეს ოფიციალურ ნაგავსაყრელზე ოპერატორ ორგანიზაციასთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით: <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ;

- | | | |
|--|--|---|
| | | <ul style="list-style-type: none">▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან თუ შენობები ღიაა საზოგადოებისთვის.▪ სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების და შესაბამისი ნიშნების მოწყობა (გზა ვიწროვდება/ფრთხილად ფეხით მოსიარულელები) ადგილობრივ სატრანსპორტო პოლიციასთან შეთანხმებით. |
|--|--|---|

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

					მინიმუმამდე შემცირება.	
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>	კარიერები	დოკუმენტები სა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი,

	გამოყოფილ ადგილებში.				თავიდან აცილება	
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
აზბესტის მართვა	ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა. აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით. უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად. აზბესტი საბოლოოდ განთავსდება ნაგავსაყრელის	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაცის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები

	ოპერატორ ორგანიზაციასთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.					
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
რეზილიტირებული გზის მოვლა	<p>საგზაო ნიშნების დაყენება მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;</p> <p>გზის შეკეთების სამუშაოების წარმოებისას შესაბამისი მონაკვეთების მონიშვნა;</p> <p>გზის შეკეთების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ასფალტის და სხვა ნარჩენების განთავსება გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.</p>	რეზილიტირებული გზა	ინსპექტირება	მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო უბედური შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	მარტვილის მუნიციპალიტეტი

დანართი 1: სარეაბილიტაციო გზის მდებარეობა და ფოტომასალა







დანართი 2: საჯარო კონსულტაციის მასალები

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

ქალაქ მარტვილში თამარ მეფის ქუჩისა და კვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის
რეაბილიტაციის ქვე-პროექტის

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვის ოქმი

28 ივლისი, 2015

2015 წლის 28 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ჩატარდა მარტვილში თამარ მეფის ქუჩისა და კვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: ალექსანდრე გრიგალავა (გამგებელი) გიორგი გოროზია (გამგებელის მოადგილე), მარტვილის კვაითის უბნის მოსახლეობის წარმომადგენლები: ნიკოლოზ ხუნწელია, ელგუჯა ხუნწელია, პაატა კირთაძე, ვაჟა გვახარია, აკაკი ძარია, თეა თოდუა, ნონა ხუნწელია, ირმა კორთხონჯია, რამაზ დიასამიძე, ზაალ ჯიქიძე, მათა ჭოჭუა, სვეტლანა კირთაძე, ნანა ბუღალავა, როლანდი ჭოჭუა, ვალოდი ჯანაშია, ტარიელ ჭოჭუა, ნინო ხუნწელია, თამარ ციტვია, გოგი ხუნწელია, კობა ხუნწელია, გურამი გელენიძე, ვლადიმერ ახვლედიანი, შპს „მარტვილავტოგზა“-ს წარმომადგენელი ავთანდილ ციცხვია, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტები ანა რუხაძე და ნინო პატარაშვილი.

შეხვედრა გახსნა ალექსანდრე გრიგალავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გზის რეაბილიტაცია არის მოსახლეობის პრიორიტეტი და მოსახლეობა, უკვე, რამდენიმე ხნის განმავლობაში აქტიურად ითხოვს დახმარებას ამ მიმართულებით. ქვე-პროექტი ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. გარკვეულ თანადაფინანსებას გაიღებს ადგილობრივი ბიუჯეტი.

ა. რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის მხარდაჭერით მიმდინარე და დაგეგმილ ქვე-პროექტებზე. დეტალურად ისაუბრა თამარ მეფის ქუჩისა და კვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტების ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოებზე, გარემოზე მათ შესაძლო ზეგავლენაზე და შემარბილებელ ღონისძიებებზე, ასევე სამუშაოების განმახორციელებლების გარემოსდაცვით ვალდებულებებზე. აღნიშნა, რომ კონტრაქტორი ვალდებულია შეასრულოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით დადგენილი

მოთხოვნები, როგორცაა ინერტული ნარჩენების განთავსება მხოლოდ ოფიციალურად გამოყოფილ ადგილზე, სამშენებლო ნარჩენები კი განთავსებული უნდა იქნეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ასევე ხმაურის შემცირების, ჰაერისა და წყლის დაბინძურებისაგან დაცვის მოთხოვნები. ა. რუხაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ ქვე-პროექტის ფარგლებში მოხდება აზბესტის დაზიანებული სანიაღვრე მილების დემონტაჟი და ისინი ჩანაცვლდება ლითონის მილებით. აზბესტის მილები წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, ამიტომ მათი გადაცემა მოსახლეობისათვის ვერ მოხდება. აზბესტის მილები უნდა შეიფუთოს და განთავსებული უნდა იქნეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე არსებული რეგულაციების შესაბამისად. ა. რუხაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, რომელთაც მოსახლეობა შეიძლება დაუკავშირდეს გარემოზე ზემოქმედების ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების არსებობის შემთხვევაში.

შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
<i>გათვალისწინებულია თუ არა ქვე-პროექტის ფარგლებში ჩიხების მოასფალტება?</i>	ქვე-პროექტი მოიცავს მიერთებებისა და ეზოებში შესასვლელების მოწყობას. ქვე-პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 5 მეტრის სიგრძის შესასვლელები ჩიხებში, ხოლო გზის დასაწყისში პირველი ჩიხში მოასფალტდება 200 მეტრი სიგრძის მონაკვეთი.
<i>ითვალისწინებს თუ არა პროექტი გზის შუა ნაწილში არსებული 4-5 ცალი ელექტროგადამცემი ბოძების გადატანას, რომელთა გამოც გზა შევიწროებულია.</i>	პროექტით ელექტროგადამცემი ბოძების გადატანა გათვალისწინებული არ არის, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი ცვლილების შეტანა.
<i>სტანდარტის მიხედვით, რა უნდა იყოს გზის, მათ შორის სავალი ნაწილის სიგანე?</i>	გზის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 6 მეტრი, მათ შორის, სავალი ნაწილის სიგანე, არანაკლებ 4,5 მეტრი, მაგრამ, სოფლებში, იქ სადაც გზა შევიწროებულია და სტანდარტის დაცვა მოითხოვს იძულებით განსახლებას, რაც არ არის მიზანშეწონილი არც ფინანსური და არც სოციალური თვალსაზრისით, ხდება გვერდულების შევიწროება. პროექტის მიხედვით, სავალი ნაწილის სიგანე იქნება 5 მეტრი, მოხრეშილი გვერდულები - 50-50 სმ. გზის გარკვეულ მონაკვეთზე (1 219 მ) მოეწყობა წყალამრიდი რკინა-ბეტონის ღარი. გზის სივიწროვის გამო ვერ ხერხდება ტროტუარების მოწყობა.
<i>გზის საწყის მონაკვეთში მოსახლემ, ახლახან ააშენა მაღაზია, რის გამოც მოხდა გზის</i>	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის მიერ განმარტებული იქნა, რომ

<p><i>შევიწროება, რაც ქმნის საავარიო სიტუაციას, შექმნილია საფრთხე ფეხით მოსიარულეთათვის, გზის ამ მონაკვეთზე შეუძლებელია, რომ ორმა მანქანამ ერთმანეთს გზა აუქციოს, მით უმეტეს, როცა ასფალტი დაიგება, და ტრანსპორტი დაიწყებს მაღალი სიჩქარით მოძრაობას. რა მოხდება ამ შემთხვევაში - რაც დარჩენილია, იმ სიგანის გზა გაკეთდება თუ მოხდება გაფართოება?</i></p>	<p>მითითებულ მონაკვეთზე შესაძლებელია 5 მეტრი სიგანის გზის მონაკვეთის მოწყობა, ასევე, ჩატარდება კონსულტაცია საპატრულო პოლიციასთან და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.</p>
<p><i>ბუნებრივი აირი არ არის ქუჩაზე შეყვანილი. მოასფალტების შემდგომ ხომ არ მოხდება გზის აყრა.</i></p>	<p>მგფ-სადმი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილის თანახმად (02.10.14) მიწისქვეშა სამუშაოები სარეაბილიტაციო გზაზე დაგეგმილი არ არის.</p> <p>გამგებლის მიერ განმარტებული იქნა, რომ ბუნებრივი აირისათვის მოეწყობა მიწისზედა გაყვანილობა.</p>
<p><i>მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ გზის რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდეს ხარისხიანად.</i></p>	<p>სამუშაოები განხორციელდება ადგილობრივი კონტრაქტორის მიერ, რომელსაც აქვს კარგი გამოცდილება გზების რეაბილიტაციაში. სამუშაოებს ზედამხედველობას გაუწევს მუნიციპალური განვითარების ფონდის მონიტორინგის სამსახური, ასევე, საერთაშორისო კომპანია ეპტისას წარმომადგენლები.</p>

ოქმი შეადგინა ანა რუხაძემ, მგფ-ის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა.

28 ივლისი, 2015

დანართი 1. მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
 ქალაქ მარტვილის თამარ მეფის ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია
 ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

28 ივლისი, 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ნიქოლოზი ბენძელია			ნ. ბენძელია
2.				ა. ხაჩიძე
3.	ბენძელია დავით			ბ. ხაჩიძე
4.	ქახიანი ნათა			ნ. ხაჩიძე
5.	გვინაძის ვაჟა			ვ. ხაჩიძე
6.	ძაბაძე ანა		598 67 97 42	ა. ხაჩიძე
	თეა თოთუაძე			თ. თოთუაძე

7.	6m6u b7667amv			6m6u
8.	mbu ymhahmhu			n. qel
9.	6m6u Adh			5. PRA
10.	h28 paland			h. qel
11.	6m6u of 6m6u			6m6u
12.	6m6u and			3.6m6u
13.	6m6u by 6m6u			6m6u
14.	6m6u 6m6u			6. PRA
15.	6m6u h28			h. qel
16.	6m6u 6m6u			3.6m6u

17.	புலங்க. சம்பந்த			ச. சந்திரன்
18.	வெளியுறவு			ச. சந்திரன்
19.	நிதி			ச. சந்திரன்
20.	உள் அமைச்சு			ச. சந்திரன்
21.	சட்ட அமைச்சு			ச. சந்திரன்
22.	உயர்நீதிமன்ற			ச. சந்திரன்
23.	சட்ட அமைச்சு			ச. சந்திரன்
24.	உள் அமைச்சு சட்ட அமைச்சு			ச. சந்திரன்
25.				

დანართი 2. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა



